სამშაბათი, 20 იანვარი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამეშვე 1904 სამშაბათი 20 იანვარი 1904 წ.


**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 14 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 14

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა:**
1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც მ ვადაზედ ფ ლს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


# 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა"** („Воскресеніе") და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი"** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდებათ.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი **უპრემიოდ**: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის" **კონტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საბუნჩაში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія".


**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

# ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

# იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოეწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ენახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემლიძე.**



№ 42.

## სახაზინო თეატრი

ქართული გალა წარმოდგენა.

**სამშაბათს, 20 იანვარს, 1904 წ.**

**ქ. ე. მესხისა და ბ-ნ გ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

**პირველად ახალი პიესა**

# ღალატი

დრამა 5 მოქმ. თხზ. სუმბათაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ე. მესხი, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, გ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, გ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი: საოპერო შაბათის წარმოდგენისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება სახაზინო თეატრის კასაში.

რეჟისორი ა კ ა კ ი.



ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**ოთხშაბათს, 21 იანვარს 1904 წ.**

ბენეფისი რეჟისორის ა. დ. ბელსკისა,

წარმოდგენილი იქნება

# „აფრიკანკა"

ოპერა 5 მოქმ. მუს. მეიერბერისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ენკვისტი, კარტავინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი: ფიგნერი, ილიუშჩენკო, ამირჯანი, თულჯაევი, სანგურსკი, ფედოროვი, კლიუზნერი, გრინევი.

უფროსი რეჟისორი მ. ნ. ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.



გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.



# ექიმი
# ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.



## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ვრ. ვ. სოგოლევსკი**—ლოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274



## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ნ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**მ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 8½—8 ს.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აგრეთვე ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.


# ტფილისი

დღეს, 20 იანვარს, სახაზინო თეატრში ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს თავ. ა. სუმბათიშვილის დრამას: „ღალატს". ესევე დასი გაემგზავრება ქუთაისს და 22-ს და 25 იანვარს იქ წარმოადგენს ამავე პიესას. წინად შეცდომით გვქონდა დაწერილი, 22-სა და 25 იანვარს „ღალატი" ტფილისის ქართულს თეატრში იქმნება წარმოდგენილიო.

კვირას, 18 იანვარს, კერძო კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ერთს გუნდს ქალაქის გამგეობის წევრის კანდიდატის ამოსარჩევად. ამ გუნდმა დაადგინა, ექიმი ა. ი. ხატისოვი აირჩიოს გამგეობის წევრად.

დღეს, 20 იანვარს, დანიშნულია პირუტყვთა მოვარველ ტფილისის საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც მიმდინარე საქმეთა გარდა, განიხილავს ხარჯთ-აღრიცხვას ამ წლისათვის.

სან-ლუის მსოფლიო გამოფენაზე კავკასიის განყოფილების მომწყობმა კომიტეტმა მიიღო დეპეშა, ექსპონატების გამოგზავნა 25 იანვრამდე შეიძლება. კომიტეტს-კი ოც იანვარს უნდა გაეგზავნა. ექსპონატები ჯერ მაინც სულ არის შეკრებილი.

ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ქალაქის გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგინა წესდება შემნახველ-გამსესხებელ კასისა ამ სასწავლებელში მოსამსახურეთათვის.

გუშინ-წინ კრება ჰქონდა რუსეთიდან გადმოსახლებულთა დამხმარებელ საზოგადოებას. კრების თავმჯდომარემ აცნობა დამსწრეთ გარდაცვალება საზოგადოების წევრის ვ. ველიჩკოსი და სთხოვა კრებას განსვენებულის ხსენებისათვის პატივი ეცათ ფეხზე ადგომით. კრებამ ეს წინადადება მიიღო. შემდეგ განხილულ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისათვის და არჩეულ იქმნა სარევიზიო კომისია.

18 იანვრისათვის დანიშნული იყო ტფილისის ვაჭართა საზოგადოების კრება, მაგრამ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა. გამო, სხვა დროისთვის გადაიდო.

ხმოსანმა ალიხანოვმა, როგორც მკითხველთ უწყიან, ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურის თანამდებობას თავი დაანება. აქამდე მას ქალაქის გამგეობისათვის არ წარუდგენია ყველა ის საქმეები, რაც ქალაქის ხორცის დუქნებს შეეხება, ამიტომ ქალაქის გამგეობამ თავისს უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, წინადადება მისცეს ხმოსანს ალიხანოვს, რომ მან გამგეობას ოცდა ხუთ იანვრამდე ყველა საქმეები ჩააბაროს.

ამ ჟამად ტფილისის ქალაქის ღამის თავშესაფარებში დიდძალი ხალხი მიდის ღამის გასათევად. მათ შორის ინტელიგენტებიც არიან. ღამის თავშესაფარში მისულთაგანი ზოგი იმდენად უსახსროა, რომ თავშესაფარს სრულებით არ შორდება. არიან იმისთანეებიც, რომელთაც ტანთ არ აცვიათ და ამიტომ გარედაც-კი ვერ გამოდიან, ძალიანაც რომ უნდოდეთ. ქალაქის თავშესაფარების გამგე კომისიამ დაადგინა, მეტი მზრუნველობა გამოიჩინოს ამ უსახსრო და უტანთსაცმელო ხალხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ქალაქის საბჭომ, როგორც მკითხველთ უწყიან, 2,000 მანეთი გადასდო ღარიბთათვის დასარიგებლად. ამ ფულის განაწილება ღარიბთა შორის დაევალა ქალაქის ღამის თავშესაფარების გამგე კომისიას. კომისია უკვე შეუდგა სხვა-და-სხვათა თხოვნების განხილვას, რომელნიც შემწეობას სთხოვენ ქალაქს. სულ ასეთი თხოვნა 20 შევიდა ქალაქის გამგეობაში. აქედან ს ანს, ზოგმა არ იცის, რომ ტფილისის საბჭომ 2,000 მ. გადასდო ღარიბთათვის დასარიგებლად. ამიტომ კომისიის წევრებმა გადასწყვიტეს, თვითონ დაიარონ ქალაქის სხვა-და-სხვა უბნები და ღარიბთა მდგომარეობა გაიგონ სამეურნეო საავადმყოფო პოლიციის დახმარებით.

ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი „ცნობის ფურცელში" (№ 2381) არჩევს ენუტ ჰამსუნის დრამას „თამარ მეფეს" და ამბობს, ვგონებ, პირველი მაგალითია, რომ ევროპიელ მწერალს ქართველთა ცხოვრებიდგან დრამა დაეწეროსო. მოვახსენებთ ბ-ნს ავტორს, რომ ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთში კრებილიონმა დასწერა ქართველთა ცხოვრებიდან ამოღებული ტრაგედია „ფარსმან და რადამისტი", რომელსაც ისეთი წარმატება ჰქონია პარიჟის სცენაზე, რომ თანამედროვე მწერალნი თურმე შურით შეჰყურებდნენო.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ვიდრე საადრესო სტოლის გამგებლობას იკისრებდეს, შეიტყოს, შეიძლება თუ არა 800 მანეთად დაიქირაოს სპეციალისტი კაცი და მას მიანდოს სტოლის წარმოება. აგრეთვე უნდა გაიგოს შესაძლებელი იქმნება თუ არა, რომ საადრესო სტოლისთვის შენობა ქალაქის განაპირა ადგილებში დაიქირაოს, რომ შენობის ქირაში ბევრი ფული არ გაიღოს. ქალაქის გამგეობის მიერ ამ ცნობათა და კიდევ სხვა მრავალთა შეკრების შემდეგ ქალაქის საბჭო განიხილავს ამ საკითხს.

პარასკევს, 16 იანვარს, მიხაილოვის ქუჩაზე, სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიაში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი პერს წაეკიდა და ერთიან დაიწვა. ჩქარა მოვიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი და ძლივ ჩააქრო. ეკკლესის ქონება 38,000 მანეთად ყოფილა დაზღვეული, თვით შენობა დაუზღვეველია, ზარალი 5,000 მანეთამდეა.

წარსულ წელს ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის შესანახად გადადებულ ფულიდგან 667 მანეთი 62 კაპ. დარჩა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ამ ფულით ცეცხლის მქრობელ რაზმის ახალ სადგომში აბანოსთვის ავეჯი შეიძინოს.

ამ მოკლე ხანში ტფილისის ქალაქის გამგეობა შეუდგება პოლიცმეისტერის სამმართველოს შენობის აგებას კონსულის ქუჩაზედ. დაწვრილებით ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა გამგეობამ დაავალა თავისს წევრს ბ-ნ ენფიანჯიანცს.

ჩვენ მივიღეთ წიგნაკი «ლა მუსიკ დე კოკას», რომელიც შეიცავს ბ-ნ ვ. დ. ყორღანოვის სიტყვას, წარმოთქმულს საერთაშორისო სამუსიკო საზოგადოების ბერლინის სექციაში.

ქალაქის გამგეობის წევრმა ბ-ნმა ენფიანჯიანცმა საბოლოოდ მოილაპარაკა და კონტრაქტი შეჰკრა ამხანაგობა „გიორგია"-ს წარმომადგენელთან. ეს ხელშეკრულობა ტფილისის ქალაქის გამგეობას წარედგინება განსახილველად. ამხანაგობა „გიორგია"-მ, რაც შეიძლება უნდა დააჩქაროს ქვის მოტანა. როდესაც ქვის ერთი ნაწილი ქალაქში მოტანილი იქმნება, მაშინ ქალაქის გამგეობამ რომ უფრო იაფი ქვა იშოვოს, შეუძლიან ეს ხელშეკრულობა დაარღვიოს.

## ქართული სალამო ბათუმში.

მეათე წელიწადია მას აქეთ, რაც ქ. ბათუმში იმართება ყოველ წლობით 14 იანვარს ქართული სალამო ბათუმის ქართული სასწავლებლის სასარგებლოდ. ამ ქართულ სალამოს გამო 14 იანვარი გადიქცა ბათუმში ერთგვარ დღესასწაულად. სიხარულით ეგებებიან ამ „ახალ დღესასწაულს“ არამც თუ მარტო ბათუმში, არამედ ჩვენის სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხის მცხოვრებნიც, რომელნიც სიამოვნებით ესწრებიან ხოლმე. სიმართლე უნდა ითქვას, რომ საზოგადოებისაგან 14 იანვრის სიხარულით შეხვედრა გამოწვეული იყო, თვით სალამოს კარგად მოწყობით. ისე არ ჩაუვლია ჯერ ამ სალამოს, რომ არ ყოფილიყოს რომლისამე პიესის წარმოდგენა, ქართული ხორო, კითხვა ლექსებისა, სცენებისა და სხვ. წელსაც თოთხმეტს იანვარს იყო გამართული ეს სალამო ქალაქის გამგეობის სადგომის დარბაზში კნ. ანდრონიკაშვილის დიასახლისობით, მაგრამ, საუბედუროდ, სალამომ მეტად უფეროდ ჩაიარა; არც ხორო, არც რაიმე პიესის წარმოდგენა, არც ლექსების კითხვა არ ყოფილა. იყო მხოლოდ მშვენივრად - ევროპიულად მორთული დარბაზი და ცეკვათამაში. თუმცა სალამოს „ქართული“ სალამო ერქვა, მაგრამ ქართული იქ არაფერი არ ყოფილა. თუმცა ასეთი „უშინაარსო“ იყო, სალამოს მაინც ბევრი ხალხი დაესწრო. მიზეზი ამისა ალბად ის იყო, რომ 1) „სალამოს“ კარგი წარსული ჰქონდა და 2) მეთაურობდა ისეთი ენერგიული დიასახლისი, როგორც კნ. ანდრონიკაშვილისა არის.

ბევრნი სალამოს დამსწრენი ღამის 12 საათამდის დაბრუნდნენ თავ-თავის სახლებში ამ სიტყვებით: „მოგვატყუეს, გვეგონა წინანდებური ხასიათი ექნებოდა“... რათ გაუჭირდათ ბათუმელებს წინანდებურად სალამოს მოწყობა? ჩვენის ფიქრით, არ არის მარტო სალამოს გამგე დანაშაული; მეტი დანაშაულია იმ ქართულ სასწავლებლის კომიტეტი, რომლისათვისაც იყო გამართული სალამო. კომიტეტის ვალი იყო, წინანდელებრ ემუშავნა სალამოს გამგესთან ერთად და მით აეცდინა ის შეცდომები, რომელიც, ყოველსავე ეტყობა, მომავალში ზარალს მოუტანს სალამოს [1]) ადვილი შესაძლებელია სალამოს კარგად მოწყობა მეტს ხარჯს გამოიწვევდა, მაგრამ, სამაგიეროდ საზოგადოება მადლიელი დარჩებოდა და მომავალშიაც სიხარულით მიეგებებოდა „ქართულ სალამოს“. ეხლა თუმცა სალამოს „უშინაარსობის გამო“ ცოტა ხარჯი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრმა სალამოს დამსწრემ ასე სთქვა: „თუ მოვიდე, გაისათაც მოგვატყუონ, რამდენიც უნდათო“. ყოველ შემთხვევაში დიდის მადლობის ღირსია კნ. ანდრონიკაშვილისა, რომელმაც ბევრი იშრომა სალამოს გამართვისთვის. რაც შეეხება „შეცდომებს“, კნ. ანდრონიკაშვილისა ვიმეორებთ, არ არის იმდენად დამნაშავე, როგორც ხსენებული კომიტეტი. იმიტომ რომ, ისიც გასაკვირველია ერთმა ადამიანმა სულ რამდენსამე დღეში, იმდენად რომ მოაწყო სალამო. და რომ არავინ ეხმარებოდა სალამოს გამართვაში კნ. ანდრონიკაშვილისას გარდა ორიოდე გულკეთილის უცხოელისა (ქართული სალამო და უცხოელი და არა ქართველი—გასაკვირველია სხვა, რომ არ იყოს. ეს ცხადია იმისთვის, ვინც თვალყურს ადევნებდა მუშაობას სალამოს გამართვისთვის.

დაახლოვებით წმინდა შემოსავალი დარჩა ქართულ სასწავლებლს სამი ათასი მანეთი (3000 მან.).

„დამსწრე“

[1]) აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წ. რსული „ქართული სალამოს» კარგათ მოწყობაში, როგორც აქაური საზოგადოება მოწმობს, დიდი ღვაწლი მიუძღოდა ქალაქის გამგეობის მდივანს ... ს. მეხსს, რომელსაც წელს, საუბედუროდ, ავად-მყოფობის გამო შეძლება არ ჰქონდა სალამოს გამართვაში მონაწილეობა მიეღო.

## ჩვენებური ამბები

**გარე-კახეთი.** ცოტაოდენს სიღნაღიდან მოსიარულე დილიჟენების შესახებ მოგახსენებთ. ეტყობა ამ დილიჟენებს კაი დარი დასდგომიათ, რომ აქამდის დღეში ორის მეტი არ დაიარებოდა და ახლა ოთხი დადის. ამათთვის თითქო არავითარი წესი და ნიხრი არ არსებობს. არც მანძილის სიდიდე და სიპატარავე ყოფილა სახეში მიღებული. შეიძლება ნაკლები მანძილი გატარონ, მაგრამ ფული მეტი გადაგახდევინონ; ერთის სიტყვით, როგორც მოისურვებს დილიჟნის პატრონი, ისე უნდა მოიქცე. მაგალითად, ავიღოთ ახლად გამართული დილიჟანი ვიღაც თორაზოვისა. მე მქონდა შემთხვევა ხუთს იანვარს ამ დილიჟნით წამოვსულიყავ სიღნაღიდან-კი არა, კაჭრეთის სადგურიდან ტფილისამდე. ვკითხე დილიჟანზე მჯდომს კონდუქტორს ფასი და იმან გადაწყვეტით მითხრა, სამი მანეთიო. მეჩქარებოდა ტფილისისაკენ და აღარ დუწყე ვაჭრობა ავიღე და სამი მანეთი მივეცი. შემდეგ ჩემი თანამგზავრების ბილეთები რომ ვნახე, რომელნიც სიღნაღიდან მოდიოდნენ, გავიგე, რომ ორი მანეთი და ათი შაური ეწერა. ვკითხე კონდუქტორს, ეს რა ამბავია მეთქი? სიღნაღიდან ტფილისამდის ასი ვერსია, კაჭრეთიდან კი ოთხმოცი. ასი ვერსის მანძილზე ორ მანეთსა და ათ შაურს ახდევინებთ, და მე კი ოთხმოცის ვერსის მანძილზე სამ მანეთსა მეთქი? „ჩვენაო,—მიპასუხა კონდუქტორმა,—გადაწყვეტილი ნიხრი არ გვაქვს, როგორც შეგვხვდება, ისე ვართმევთო“. ამისთანა საბუთის წინააღმდეგ, აბა, რაღა ითქმის?

ჩემმა თანამგზავრებმა მითხრეს, ტფილისის კანტორაში განაცხადე და მაგ ათ შაურს უკან დაგიბრუნებენო. მეც მივმართე ხსენებულ კანტორას, რომელიც ავლაბრის ერთ დუქანში ყოფილა მოთავსებული, მაგრამ აქ ისეთი დაცინვის კილოთი დამიწყეს ლაპარაკი, რომ ხმა არ ამომეღო, უკეთესი იქნებოდა. ვის დაჰკარგვიხარ? რას სულელობო? ნეტავი ორი მაგდენი კიდევ სხვაც მოგეცა! უკანონოდ აღებულის ფულის უკან დაბრუნება ჩვენს დავთარში ჯერ არ წერებულა და ვერც დავწერთო. მიბრძანდი, სადაც გენებოს და იქ განაცხადეთო,—ეს დასკვნა გამოვიტანე მათის ზრდილობიანის ლაპარაკისაგან. რაღა გაეწყობა! იმ ათ შაურს თქვენი ჭირი წაუღია, მაგრამ ნუ თუ მართლა ამისთანა გარემოებას არავინ ყურადღება არ უნდა მიაქციოს? თოროზოვი ახალი მედილიჟნე არის და, თუ ასეთის ოინებით ეწყებს საქმეს, თავის ჯიბეს მალე გაისქელებს და მგზავრებისას-კი ძალიან გაგვითხელებს.

ხიდრელი.

—

**პატრიქეთის საზოგადოება** (ქვემო იმერეთი. ამ საზოგადოებაშია შემდეგი სოფლები: გეგუთი, პატრიქეთი და ტყაჩირი. ეს სოფლები შესანიშნავია თავისს რიცხვ-მრავალ მცხოვრებლებით, მაგ. ს. გეგუთში ითვლება 500 კომლამდე, პატრიქეთში 400-ზე მეტი და აგრეთვე ტყაჩირშიაც, აქაურნი მკვიდრნი უმეტესობა გლეხობაა. მხოლოდ ტყაჩირში და გეგუთში რამდენიმე მოსახლე თავად-აზნაურობა ურევია. შესანიშნავია კიდევ ეს საზოგადოება უხვის ადგილ-მამულით და კარგის მოსავლით. აქ ყოველნაირი მოსავალი ვარგობს. ბევრი მოდის სიმინდი, პური, ღვინო და ყოველ-ნაირი ბაღეულობა. ხალხი ძლიერ მშრომელია და ბევრი გლეხობა ამ საზოგადოებაში შეძლებულია.

ამ მხრივ თუ საქებია ეს სოფლები, განათლების მხრით ვერ მოვიწონებთ, ვინაიდგან განათლებას აქ ძლიერ ცოტათი აქვს ფეხი მოდგმული. ავიღოთ ს. გეგუთი. —ეს ამოდენა სოფელი ყველაფერს მოკლებულია! აქ არ არის არც სასწავლებელი და არც არავითარი დაწესებულება. ამაებსაც რომ თავი დავანებოთ—გეგუთლებს არა აქვთ რიგიანი ეკკლესია, რომლითაც უნდა ამაყობდეს ყოველი სოფელი. აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც გამოცხადებული აქვთ მთავრობისაგან ეკკლესიის აშენება და ვერ მოუხერხებიათ საქმის გადაწყვეტა და დაწყება. რის ბრალია და რას უნდა მივაწეროთ ეს გარემოება? ნუ თუ იმდენ ხალხს არ უნდა ჰქონდეს არც სკოლა და არც ეკკლესია?! ჩემის აზრით, აქ გლეხობა არ არის დანაშაული; აქ არ არის ხეირიანი მოთავე, რომ საქმეს სათავეში ჩაუდგეს, მაგრამ იქნება იკითხოთ: ნუ თუ ამდენ ხალხში არავინ ურევია შეგნებული, რომ ითავოს ამ სოფლის წინ-მატებაო? ეგეთები შეიძლება არიან, მაგრამ ისინი საღათას ძილს არიან მიცემულნი. ძლიერ სამწუხაროა, რომ ეგეთი სოფელი, როგორიც არის გეგუთი, ქალაქზე ახლო მყოფი, ისტორიულადაც შესანიშნავი, ასე უკან იდგეს განათლების მხრივ. ამ საზოგადოებაში არის მხოლოდ ერთი სამინისტრო სკოლა ს. პატრიქეთში, რომელიც ჯერ კიდევ ნაქირავებ სახლშია მოთავსებული. ამ სკოლაში სამივე სოფლებიდგან დადიან ბავშვები და წარმოიდგინეთ, თუ რა სივიწროვე იქნება აქ ადგილის უქონლობით. ტყაჩირში არის სამრევლო ერთ-კლასიანი სკოლა, მაგრამ ბავშვების რიცხვი ძალიან მცირეა; წარსულს შემოდგომაზე, როდესაც შემთხვევით გავიარე იმ სკოლაში, ვნახე, რომ შიგ მასწავლებელი და ოთხი ბავშვი ისხდნენ და სწავლობდნენ;—ამის მიზეზად მასწავლებელმა შემოდგომა დაასახელა და ის, რომ ამ სოფელში ეკკლესიას აშენებენ და იმიტომ სწავლის ფულს ვერ იხდიან და ბავშვებიც აღარ მოჰყავთო; ასე თუ ისე, ასეთი დაუდევრობა სოფლის გაუნათლებლობას უნდა მივაწეროთ. თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო, ნათქვამია.

რაიცა შეეხება ამ სოფლების პირველ-უსაჭიროეს გზებს—ყოვლად უვარგისი და გაფუჭებულია ეს გზები; ზამთრობით და ავდრიან დროს ისეთი ტალახებია, რომ ლაფშა ცხენს უჭირს გავლა და ეტლს ხომ ვერ შეუძლიან გავლა. თუ როგორმე გაჰბედა მეეტლემ წამოსვლა, 12 მანეთად თუ წამოგყვა ქუთაისიდგან, დიდი პატივისცემა იქნება; ასე რომ ავად-მყოფი გეყვდებოდეს, დოქტორს ვერ მოიყვან ზამთრობით და თუ მოიყვანე, 30 მანეთი დაგიჯდება. აი, ასეთი მდიდარი სოფლები: მოსავლით, ადგილ-მამულით, აბრეშუმით და სხვ. ასეთს უკანასკნელ მდგომარეობაში არიან, იმიტომ რომ უთაურობა დასჩემებიათ და ნასწავლი გულ-შემატკივარი ხალხი არა ჰყავთ.

ი. კ.

—

**დ. ონი** (რაჭის მაზრა). არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა დაწერილი, რომ რაჭა საწყალი მიკარგდნილი კუთხეა საქართველოსი, რომ უგზო-უკვლობისა და საშინელის სიძვირის გამო დაქვეითებულნი ვართ და ყოველგვარ სიამოვნებას მოკლებულნი რაჭველებიო. ამას ვინა სჩივის? ნეტავ ბუნება შეგვიბრალებდეს და ავადმყოფობას აგვაცილებდეს, თორემ სხვაფრივ კიდევ იოლად წავიდოდით, ავადმყოფობამ რომ არაფერი დაგვმართოს, შიში მოგვისწრაფებს დღეს, რადგან ერთად ერთის ფეშლის ამარაა მთელი ზემო რაჭა. რამდენი ბავშვი გამოასალმა უექიმობით სიცოცხლეს. მოხელენი-კი ნაკლებად არიან შიშში, რადგან ამათ შეუძლიანთ თავიანთი მეცადინეობით დაუახლოვდნენ ქალაქს და მალე მოშორდნენ ამ მივარდნილ უსაშველო ქვეყანას. ყველა აქაური მოხელე მოსვლისათანავე იმასა სცდილობს, რაც შეიძლება, მალე გადაიყვანონ სხვაგან. იმათ რა უშავთ! იკითხოს აქაურმა მკვიდრმა. ვისაც შეძლება აქვს, ქუთაისიდგან მაინც დაიბარებს ექიმს, თუმცა ბევრი შეძლებული ვიცით, სიკვდილს არჩევს, მინამ დღენახევრის სავალზე ექიმის დაბარებას. ამ თვეში ერთმაც მოიწვია ცაგერიდგან (მთელი დღის სავალია) ექიმი ცოლის მძიმე ავადმყოფობის გამო. თქვენ თვითონ იფიქრეთ, რა დაუჯდებოდა. კიდევ კარგი, ექიმი გულ-კეთილი აღმოჩნდა და ბევრი არ მოსთხოვა.

ონში გვაქვს, როგორც მოგეხსენებათ, უფასო სამკითხველო. თუმცა არავინ დადის, მაგრამ სახელი მაინც არის! დღემდის კიდევ ჰნახავდით თვითო ოროლა მკითხველს და დღეს-კი სულ ცარიელია, თუმცა არც ერთი საჭირო ჟურნალ-გაზეთი არ აკლია, როგორც რუსული, აგრეთვე ქართული.

ამ უკანასკნელ დროს მკითხველების შემცირების მიზეზი ის გახლავთ, რომ შესაფერს ადგილზე არ არის. ეს რამდენიმე კვირაა ბინა გამოუცვალეს და მშვენიერ ადგილიდგან უხერხულს ადგილას გადაიტანეს, რადგან სახლის პატრონს თვითონ სჭირდებოდა სახლი. იმაზედაც დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი სვიმონ ჯაფარიძე, რომელმაც დაუთმო იმ ორ წელიწადს უფასოდ მშვენიერი ოთახი. დღევანდლამდის ჩვენის სამკითხველოს არსებობა წარსულიდგან აწმყომდე დამყარებულია პ. დ. გამყრელიძის დაუღალავ მეცადინეობასა და შრომაზე. ამასთანავე დიდი ღვაწლი მიუძღვით ნივთიერის შემწეობით თ. ვ. დადეშქელიანს და მათს მეუღლეს ე. ა. ასულს. უკანასკნელი მზრუნველადაც არის ამორჩეული; ამათის მეცადინეობით ვაპირობთ სამკითხველოსათვის საკუთარის შენობის შეძენას.

აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მცირეოდენი წარმომადგენლების და გულშემატკივრების მეცადინეობით მალე დაგვიარსდეს სამოქალაქო სასწავლებელიც, თუ

---

## ფელეტონი

### ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა საზოგადოდ სახალხო სიმღერებისა და სახელოვნო-საოლიტიკო მოღვაწეობა დ. ა. სლავიანსკისა.

(დასასრული *)

1877—78 წლიდან 84 წლამდე სლავიანსკი ხოროთი კონცერტებს მართავდა. 1877 წელს ის მიდის დაზარალებულ ბოსნია-ჰერცოგოვინელთა საშველად და მათ სასარგებლოდ მართავს კონცერტს. 1884 წელს სლავიანსკი კონცერტს ჰმართავს ცარგრადში და მეორედ მიდის სლავიანთა ადგილებში სამოგზაუროდ: 84 წლის 1 მაისს სულთანის სასახლეში გამართა კონცერტი. აქ, რასაკვირველია, როგორც ორდენებით, აგრეთვე ფულით უხვად იქმნა დაჯილდოვებული. კონსტანტინოპოლიდგან სლავიანსკი ბოლგარიაში გაემგზავრა. ყველა აღტაცებით მიეგება. უცხო ქვეყანაში მცხოვრებ რუსთ თუ როგორ ესიამოვნათ სახალხო სიმღერათა გაგონება,—ეს სჩანს იმ სიტყვებიდგან, რომლითაც მიჰმართეს პირველ მისვლისათანავე: მაგ., რუშჩუკში ხალხმა ამ სიტყვით გაასეირა სლავიანსკი: „თვითეული ჩვენგანი, რომელთაც დიდიხანია არ გვინახავს არაფერი გულის მახლობელი, მშობლიური, განსაკუთრებით ძვირად აფასებს თქვენს აქ მოსვლას და ამაყობს თქვენის სიმღერა-ქადაგებით, რომელიც გადმოგვცემს რუსთა ზნე-ჩვეულებასა და მის ძლიერებას სწორედ და ნამდვილად. დეე, ამ სიმღერა-ქადაგებამ თქვენთან ერთად მტკიცე გზა გაიკვლიოს ქვეყნიერობაში და აუწყოს ის ძალა, რომელიც თან ახლავს რუსის ერსა“-ო.

სლავიანთა ადგილებში კონცერტების გამართვით სლავიანსკიმ დაამტკიცა საქმით, თუ სახალხო სიმღერას რამდენად დიდი ზნეობრივი გავლენა აქვს და თეორიულად დამტკიცებაზე რამდენად ძლიერი იარაღია სლავიანთა შთამომავლობათა სულიერად შეერთებისა და დაახლოვების საქმეში.

ავსტრიის სახელმწიფო კაცებს კარგად ესმოდათ და ესმით ახლაც ასეთი მნიშვნელობა სახალხო სიმღერისა და ამიტომ ღონის-ძიებას იღებენ, ჰაბსბურგის სახლობის მემკვიდრეებზე გავლენა არ იქონიოსო. 1867 წელს, როგორც ზემოთაც ვთქვით, ავსტრია-უნგრეთის მთავრობა ყოველნაირ ღონისძიებას ხმარობდა, რომ რუსული სახალხო სიმღერა თავისს ტერიტორიაში არ გავრცელებულიყო, 1884 წელს-კი საბოლოოდ შეუკრეს გზა სლავიანსკის ამ სამეფოში. მაგრამ რამდენადაც მეტად ცდილობდა მთავრობა, რომ სლავიანთათვის არ გაეგონებინა რუსული სიმღერა, იმდენად ძლიერი იყო ხალხის სურვილი მოესმინათ იგი; როდესაც სლავიანსკი კონცერტებს ჰმართავდა სამხრეთ გერმანიაში, სლავიანსკიმ მიიღო წერილი ასეთის ხელმოწერით: „სამხრეთის სლავიანები“: „ძმაო რუსო! საკვირველის ჰანგებით ჰხიბლავ და აღტაცებაში მოგყავს მთელი ევროპა და გავიწყდება ისინი, ვისაც ყველაზედ მეტად შეუძლიან დააფასება შენი და შენის სიმღერებისა; საკუთარ ნების გარდა, თუ რაიმე დაბრკოლება ელობება შენს აქ მოსვლის სურვილის შესრულებას, გვითხარი, გაგვაგებინე და მაშინ ჩვენ ამ დაბრკოლებას შევმუსრავთ და დავამტკიცებთ, რომ ის ქვეყანა, რომელსაც ხალხურის სიმღერისა ეშინიან, წარმოადგენს ფირფიტანას შენობას, რომელსაც სით ძირიანათ შეარყევს— და სხვა არაფერსათ.

მართლაც სიმღერა ხალხისათვის როგორც მხატვრული აღწერა რომელიმე ხალხის დიდებულ წარსულისა, როგორც შეუდარებელი თქმულება წინაპართა ყოფაცხოვრების ღირსებათა შესახებ, სიმღერა შრომისა, თავ-განწირულებისა, სიხარულისა და ღრმა რწმენისა, ვიმეორებ, უფრო ძლიერია, ვიდრე თეორიული დამტკიცებანი და მას შეუძლიან გაიყვანოს გამარჯვებულ ბრძოლაში იმ უცხო ტომელებთან, რომელნიც მას თავზე აჰყვებიან. ჩვენი ძმები, ქართველები, განცალკევებულნი ისტორიულად, უნდა შეერთდნენ, ძმური და ძლიერი კავშირი შეადგინონ და არ დაჰკარგონ თავიანთი დამოუკიდებელი მნიშვნელობა. მათი შეერთება შეიძლება ერთის მოტივების აღებით და ეს დაიცავს ერის ერთიანობას. თვითეული ჩვენგანი, როცა აცნობს ხალხს ხალხის ხასიათს მუსიკალურად, თავის ქადაგებით ყმაწვილებს უნდა უმტკიცებდეს იმ რწმენას, რომ ქართველი ერი თავის დიდ სულიერობით, მუდმივობით და ძალით ამასთანავე უნდა იყოს დროშის მატარებელი, რომელმაც არა ერთხელ დაამტკიცა თავისი მისწრაფება სხვა ხალხთა, ხშირად მოსისხლე მტერთა განთავისუფლებისა... დეე, ჩვენი სიმღერა ამავე მისწრაფების ჩასანერგად მხიარულად და მკაფიოდ გაისმას ქვეყნიერობაში, დეე აცნობოს მან ყველას, რომ მოვიდა დრო ჩვენის შეერთებისა ერთ, ძლიერ ხოროდ, რომ ჩვენი დიდიხნის პიონერი თავისის ძლიერის სიტყვით—სახალხო სიმღერა—შეადგენს სახელს და დიდებას ქართველ ერისას.

1885 წელს აგრეთვე გადასწყვიტა მთელი დასავლეთისათვის გაეცნო რუსული სიმღერა, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, ბელგია, ინგლისი, მთლად გაჰკვირდნენ დიდებულებით და მარტივობით სიმღერისა. კონცერტები ბერლინიდან დაიწყო. რუსული ხორო მიწვეულ იქნა ისეთ ქალაქებში, როგორიც ლეიპციგია, დრეზდენი და სხვ. სადაც კლასიკური მუსიკა სათაყვანო საგნად აქვთ გამხდარი.

რუსულ სახალხო სიმღერათა შესახებ გაზეთები დიდის აღტაცებით ლაპარაკობდნენ: გაზეთი „დეიტშეს ტაგებლატ“-ი სწერდა: „საზოგადოებამ ერთხმად აღიარა, რომ არას დროს სლავიანსკის ხოროსი მსგავსი სიმღერა არც გაუგონიათ და არც უნახავთ ბერლინში; ჭეშმარიტად მომჯადოებელი იყო ეს სანახაობა, რომელსაც გონების თვალით გადაჰყავდი მოჯადოებულ სამეფოში „ათასი და ერთი ღამე“-სი. „ვაზერ ცაიტუნგ“-ი აღტაცებით ამბობდა! „რუსებმა გაიმარჯვეს, ისინი რომ მუსიკალურად ბუნებისაგან უხვად არიან დაჯილდოვებულნი, ეს დიდიხნის ფაქტია, მაგრამ ჩვენ უნდა გამოვტყდეთ, რომ სლავიანსკის კონცერტები მეტის-მეტად გვხიბლავდა. არას დროს არ გაგვიგონია გერმანიაში მსგავსი სლავიანსკის ხოროსიო» გაზეთ „მაგდებურგერ ცაიტუნგ“-ში სწერდნენ: „როდესაც სლავიანსკის ხორომ იმღერა რუსული ნაციონალური სიმღერები, ენით გამოუთქმელ ნეტარებას ვგრძნობდით, ჩვენ გვეგონა, თითქოს, ციდგან ჩამოსულს ანგელოსთა გუნდს ვუსმენდითო“. „ბეილაგე დერ ლეიპციგერ ნახრიხტენ“ სწერდა: „სლავიანთა მელოდიები. ხან ღრმა, დამაღონებელი, ხან მხიარული, ნარნარი, მაგრამ ყოველთვის აღსავსე რეალურ და ჭეშმარიტ გრძნობით, ამაღლებს სულს და ახარებს გულს; ისინი არიან ქმნილება ახალგაზრდა, ძლიერ ხალხისა და ჩვენ ფიქრს გვიძრავს სლავიანთა ნაციის მომავალზედ“. აი როგორის აზრისანი იყვნენ ნემეცი კრიტიკოსები რუსულ სიმღერის შესახებდა რუსის ხალხზედ; ამაზე მეტი ქება, მგონი, აღარ შეიძლება.

საფრანგეთში სლავიანსკის კონცერტების გამო აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა; საუკეთესო მცოდნენი მუსიკისა ძვირად აფასებდნენ ღირსებებს და სიძლიერეს რუსულ სახალხო სიმღერებისას; საფრანგეთის დიდებულმა კომპოზიტორმა—„ფაუსტის“ შემქნელმა—გუნომ, სლავიანსკის კონცერტის მოსმენის შემდეგ, სთქვა: მე რომ ახალგაზრდა ვიყო და მინდოდეს ოპერის დაწერა, მასში მთლად შევიტანდი რუსულ მოტივებსაო. ეს საკმარისია რომ გავითვალისწინოთ, თუ როგორ შთაბეჭდილება იქონია რუსულმა სიმღერამ საფრანგეთში.

ლონდონში სლავიანსკი მიწვეულ იქმნა მეფის მიერ ვინზორის სასახლეში კონცერტის გასამართავად, სადაც უმაღლესს პირთა თანადასწრებით გაისმა რუსული სიმღერები. სლავიანსკიმ ლონდონში სასულიერო კონცერტიც გამართა კენტერბერიის ტაძარში; ეპისკოპოსის არჩევით, ხორომ შეასრულა რამდენიმე ნომერი: „აღიდეს სული ჩემი უფალსა“, „მამაო ჩვენო“, „მწყემსო“ და სხვ. როდესაც შესწყდა ხმები სიმღერისა, არხიეპისკოპოსმა წარმოსთქვა ლოცვა და შემდეგ მხურვალე მადლობა უძღვნა სლავიანსკის. საზღვარ-გარეთიდან დაბრუნების შემდეგ ცამდე აჰყავდა სლავიანსკი საზოგადოების ყველა ნაწილს. ქალაქ რეველში, სადაც პირველად გაიარა საზღვარ-გარეთიდან დაბრუნების შემდეგ, პურ-მარილით დაუხვდნენ. პეტერბურგში ხელახლა მიღებულ იქმნა სასახლეში და პრესამ, განურჩევლად მიმართულებისა, სლავიანსკის მიერ დაწყებული საქმე აღიარა „მთელის რუსეთის საქმედ“. ყველანი იმას ლაპარაკობდნენ, საზოგადოება და მთავრობაც ყოველ მხრივ უნდა დაეხმაროს სლავიანსკის ამ საქმეში, რომ ეს დაწყებულება კერძო საქმედ არ დარჩესო.

1887 წელს სლავიანსკიმ მოსკოვში იდღესასწაულა 25 წლის არტისტულ მოღვაწეობის იუბილე. ამ დროს მას ქვე-

*) იხ. „ივერია“, № 9.

რაიმე მიზეზის გამო ეს საზოგადო სასარგებლო საქმე სადათას ძილს არ მიეცა. სხვათა შორის ჩვენთვის სამწუხარო გარემოებაა ჩვენის დაბა ონის უხიდობა, რომლის გაკეთებაც ჩვენის ადმინისტრაციის მეცადინეობით დამტკიცებულიც არის, მაგრამ, სამწუხაროდ, იმის კეთებისათვის ხელიც არავის უხლია; გაზაფხულო კი კარზე გვადგია და თუ ეს ხიდი არ გვექნა, საიდგან და როგორ უნდა მოგვაშველონ, რაც ჩვენთვის საჭიროა. თუმცა დღეს დღეობით პატარა ბოგირია გადებული რიონზე, მაგრამ იმას დიდი ხნის იადა არა აქვს რადგან თებერვლის მცირეოდენი წყლის მომატებაც-კი საკმარისია, რომ ჩვენმა ბოგირმა მავი ზღვა ჰნახოს.

გულადის ძმა

## შავის-ქვის მრეწველობა.

საგანგებო კომისიას, ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ვ. ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით, საჭიროდ უცვნია შემდეგი ღონისძიებანი იხმარონ მარგანეცის წარმოების უკეთესად მოწყობისათვის: 1, რათა წესიერად წარმოებდეს მუშაობა სამადნოებში, საჭიროა მტკიცედ სრულდებოდეს სამთა-მადნო დებულება შესახებ იმისა, რომ მომუშავენი უზრუნველ იყვნენ უბედურ შემთხვევისაგან და გაიაფდეს ხის მასალის მიზიდვა მადნებთან ხვრელების გასამაგრებლად; 2, რათა გაადვილდეს მადნეულის გადაზიდვა რკინის გზამდე, საჭიროა შესწორდეს მთის ფერდობები, სადაც შავის-ქვის მადნებია, დაწყობილ იქმნას რელსები და მეხანიური დასაქანებლები; 3, ყოველივე ეს შესაძლოა ხაზინის ხარჯით მოეწყოს, რადგან კავკასიის რკინის გზის შტოს სარგებლობას მოუტანს; ამისათვის ეხლავე ეთხოვოს რკინის გზის სამინისტროს, რომ ტეხნიკოსების მიერ გამოკვლევა მოახდინოს; და 4, რათა შავი-ქვა რიგიანად იწმინდებოდეს, საჭიროა გამართოს ფაბრიკები, სადაც მადნეული წყლით ირეცხებოდეს და მასთანავე ბრიკეტებიც კეთდებოდეს ან თვით მრეწველთა ანუ საგანგებო საზოგადოებათა და ამხანაგობათა ხარჯით.

# რუსეთი

„მოსკ. უწყებანს“ ახირებული ამბავი მოჰყავს რუსეთის ახლანდელ მწერლობის დასახასიათებლად. Торг.-Пром. გაზეთი რომელიც ფინანსთა სამინისტროს ორგანოა, თავის უფროსებს ეკამათება:

სამინისტრომ განიზრახა, სახელმწიფოდგან გასატან ნავთს ბაჟი მოუმატოს, ეს გაზეთი კი ამის წინააღმდეგია.

უფრო თვალსაჩინოა მისი წინააღმდეგობა სინდიკატების შესახებ. სამრეწველოთა სინდიკატების მეცად-ნეობა, რომ ხელთ იგდონ მონოპოლიური უფლებანი სამინისტროს მავნებლად მიაჩნია ხალხის ინტერესებისათვის. მისის გაზეთის კი სინდიკატები საჭიროდ და სასურველად მიაჩნია ვაჭრობა-მრეწველობისათვის.

სამინისტრო ცდილობს საერთაშორისო ხელშეკრულება დაწყვნოს სინდიკატთა შესახებ. მისი გაზეთი-კი იმ აზრისაა, რომ ეს მოუხერხებელი და უმნიშვნელოაო.

ამას გარდა სამინისტროსა და მის გაზეთს სულ სხვა და სხვა აზრი აქვთ საერო ეკონომიის უფლის საჭიროებათა შესახებო.

ჩვენ არ ვიცით, ამბობს „მოსკოვის უწყება“. ჩააგონებს თავის გაზეთს, რომ ცდება იგი, როდესაც კერძო კაპიტალისტების მონოპოლიის სარგებლობასა და საჭიროებას ამტკიცებს, ხოლო ეხლანდელი პოლემიკა ღრმა შთაბეჭდილებასა სტოვებს, რადგან ამტკიცებს, რომ სამინისტროში ერთაზროვნობა არ არსებობს და ერთ გვარად არ მოქმედებენო.

— ვარშავაში გაუვრცელებიათ ხმა, ვითომც არეულობის გამო შორეულ აღმოსავლეთში მთავრობა იძულებულია მოახმაროს ყველა ის ფული, რომელიც სახელმწიფო ბანკის შემნახველ კასებშია შესანახად შეტანილი, და ამის გამო როგორც ვარშავისა ისე სხვა კასხებიდგან გატანა ფულისა აღარ შეიძლებაო. ამ ხმას მრავალი აუღელვებია და ერთს დღეს ბევრნი მიაწყდნენ ვარშავის კასსას, ჩვენი ფული დაგვიბრუნეთო. ზოგი დარწმუნეს, რომ ამისთანა ხმები უსაფუძლოა, რადგან ხაზინა ხელს არ ახლებს შესანახად შეტანილ ფულს. ხოლო ზოგმა არ დაიჯერა და თავისი ფული გაიტანა.

— როსტოვის ოლქის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავსჯდომარეობით, კრება ჰქონდა მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას, რომელმაც სხვა და სხვა საყურადღებო და საჭირო საგნები გაიხილა. სხვათა შორის ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ სასურველი დამოკიდებულობა არ არსებობს მეურნეებსა და მომუშავეთა შორის. კრებამ საჭიროდ დაინახა, იმ ადგილებში, სადაც მრავალი მომუშავეა თავმოყრილი, მუდმივი სამედიატორო კომისია დაარსდეს, რომელიც უნდა შესდგეს მეურნეთა და მომუშავეთაგან. კომისია თვალ-ყურს ადევნებს, როგორ ასრულებს პირობას ორივე მხარე, უთანხმოების მიზეზს გამოარკვევს და ორთავეს გაასამართლებს.

— მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს განუზრახავთ კერძო საზოგადოება დააარსონ, რომელმაც მეცნიერულად უნდა გამოიკვლიოს გლეხთა მდგომარეობა.

— ნიჟეგოროდის გუბერნატორს ნება დაურთავს დაარსდეს ერთ სამამასახლისოში (სერგაჩის მაზრაში) სახალხო სამკითხველო, რომელიც მხოლოდ გლეხების წვლილით შეინახება და არავის დახმარებას არ თხოულობს. სოფლის საზოგადოებას გადაუწყვეტია გადასდოს ერთხანად 100 მანათი და ყოველ წელს 15 მ. სხვა წოდების კაცს შეუძლიან წიგნები გაიტანოს, თუ 1—3 მანათს გადიხდის: ღვდელი —2 მან., მთავარი, მასწავლებელი და დიაკვანი—1 მ. 50 კ. და დანარჩენნი, ვინც გლეხთაგანია და საზოგადოებას-კი არ ეკუთვნის, 1 მ.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ამ დღეებში დაიწყება კრება ინგლისის პარლამენტისა. კარგა ხანია სხვა-და-სხვა პარტიები აპირობენ შებრძოლებას. მოსალოდნელია, რომ ეხლანდელ მთავრობას ბევრს მწარე აბებს გადააყლაპებენ. ამისთანა სახიფათო დრო რომ არ იყოს და ომიანობის მოლოდინი არ აშინებდეს პარლამენტის დეპუტატებს, იქმნება ეხლანდელი მთავრობა სულაც დაემხოთ და სხვა დასს მიეღო ქვეყნის მართვა-გამგებლობა. კარგა ხანია, რაც კონსერვატორებმა ხელთ-იგდეს მეთაურობა, პარლამენტში უპირატესობა მოიპოვეს, თავისი სამინისტრო დააარსეს და თავის პროგრამის განმტკიცების გზას დაადგნენ. განსვენებულის გლადსტონის სამინისტროს გადადგომის შემდეგ, ლიბერალებს პარლამენტში ისე მცირე ადგილი შერჩათ, რომ კონსერვატორების მოქმედებას წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ. ჩამოეცალათ და ბოლოს ეს დასი მეტად დაუძლურდა. ლიბერალთაგან განცალკევებული „უნიონისტთა“ დასი, რომელიც ირლანდიის „ჰომრულის“ წინააღმდეგი იყო, უფრო კონსერვატორებს უერდა მხარს. ლიბერალთა დასს თანდათან მომხრეები ჩამოეცალა და ბოლოს მთავრობა ყურადღებასაც აღარ აქცევდა. ასე იყო იმ დრომდე, ვიდრე ბურებთან უსამართლო ომი ატყდებოდა და ძალ მომრეობა გამეფდებოდა. შემდეგ-კი ინგლისის ხალხი, წინად კონსერვატორების ამაყ და ამპარტავან პოლიტიკით თავბრუ-დასხმული, თანდათან გონს მოვიდა და დარწმუნდა, რომ კონსერვატორების პოლიტიკა ქვეყანას საფრთხო გზაზე აყენებს; დარწმუნდა, რომ ინგლისი არც ისე ძლიერი ყოფილა როგორც სხვასა და თვით ინგლისელებს ეგონათ, რომ მცირე ხალხთან ომიც-კი მისთვის გასაჭირია და ქვეყნის მაზარალებელი. ერთ მუჭა ბურებთან ომი რავდენსამე წელს გაგრძელდა და რამდენსამე მილიარდად დაუჯდა. ამ მილიარდებს თითქმის ვერასოდეს ვერ დაიბრუნებს. ეს ომი უფრო ამაყობისა და ცრუ თავ-მოყვარეობის შედეგი იყო, ვიდრე სამართლიანობისა და ინგლისის სარგებლობისათვის ზრუნვისა. მართალია ომის დროს ინგლისის ხალხი გაერთდა, ყველა დასი მომხრე სცდილობდა დაემარცხებინა პატარა ურჩი ხალხი, მთავრობისაგან მტრად მიჩნეული და აღიარებული, მაგრამ ომი რომ გათავდა და ინგლისის ხალხმა თავმოყვარეობა დაიკმაყოფილა, მაშინ-კი მართებლობის უსამართლობაზე და მოუფიქრებლობაზე ხმა აამაღლა. ომის ამტეხი და ომიანობის დროს საქვეყნო გმირად დასახული კოლონიათა მინისტრი ჩემბერლენი იძულებული შეიქმნა მინისტრობაზე ხელი აეღო და თავის წინანდელ პოლიტიკის დასაცველად კერძო ასპარეზი მოეპოვა, რომ იმ მთავრობას გამკლავებოდა, რომელსაც თვით იგი უდგამდა სულს. ესეთი განხეთქილება მოხდა წინანდელ ძლიერ დასში, რომელსაც „უნიონისტებიც“ ემხრობოდნენ. ჩემბერლენი, როგორც ვიცით, „პროტექციონისტია“. იმას უნდა ვაჭრობა შეზღუდოს იმ კვალად, რომ სხვის ნაწარმოებს, რაც-კი ინგლისს უცხო ქვეყნებიდგან ან თავის კოლონიებიდგან მისდის, დიდი ბაჟი დაადოს და ამით ვითომც ინგლისის ხალხს დიდი სიმდიდრე შესძინოს. მაგრამ ვერც წერითა, ვერც ორატორულის ქადაგებით თვისი აზრი ჯერ ვერ ჩააგონა ინგლისის დაბალ ხალხს, და თვის დასშიაც ახალი განხეთქილება შეიტანა. ბევრი მისი მომხრე განს გადგა. უნიონისტებიც კვალად განცალკევდნენ, ეხლა უფრო ლიბერალებს თანაუგრძნობენ და, „ჰომრულის“ ხსენება რომ არ იყოს, შეუერთდებიან კიდეც. ამ რიგად წინანდელ ორ დასის მაგიერ—კონსერვატორთა და ლიბერალთა — დღეს ინგლისში სხვა-და-სხვა მრავალი დასი გაჩნდა. ვერ გაარჩევ, ვინ ვისი მომხრეა და ვინ ვისი მოწინააღმდეგე. ლიბერალები ცოტა წელში გაიშალნენ, რადგან იმედი აღეძრათ, რომ კვალად უპირატესობას დაუბრუნებენ პარლამენტში და თავის სამინისტროს დაამკვიდრებენ. იმედი, ერთის მხრივ, იმაზეა დამყარებული, რომ მოწინააღმდეგე დასებში განხეთქილებაა და, მეორეს მხრივ, ირლანდიელები მიემხრობიან, რადგან თავის ქვეყნისათვის ლიბერალთაგან მეტს სიკეთეს მოელიან, ვიდრე კონსერვატორ-უნიონისტებისაგან. თუ რომ ლიბერალების იმედი გამართლდა, მაშინ ინგლისი დიდს ცვლილებას უნდა მოელოდეს არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკაშიც. გასაკვირველი არ არის, რომ ინგლისის პარლამენტის კრებას სხვა სახელმწიფოებიც მოუთმენლად ელიან.

**იაპონია.** იაპონიამ აცნობა ინგლისს, საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს, რუსეთთან მოსარიგებლად შუამავლობა შეუძლებელია, რადგან მოლაპარაკების დროს რუსეთი შეიარაღებას არ შესწყვეტავს და თავის ჯარს შორეულ აღმოსავლეთში უფრო გააძლიერებსო. რუსეთი თავის ესკადრას რომელიც პორტ-საიდში დგმაოდა, უკვე შეუკეთებია და აქედ გამოგზავნისო. ხოლო თუ რუსეთის სხვა სამხედრო გემებიც შავსა და ბალტის ზღვებს გამოსცილდა, მაშინ-კი ერთის საათის მოცდაც ყოვლად შეუძლებელიაო.

**იტალია.** პაპის განკარგულებით, შესდგომიან მის სასახლეში მოსამსახურეთა შტატის შემცირებას. ჰფიქრობენ ჯამაგირი მოუკლონ კარდინალებს და შეამციროს ჟანდარმერია.

**ავსტრია.** ავსტრიელთა დელეგაციის წინაშე ჩეხელმა დეპუტატმა კრამარჟმა ცხარე სიტყვა წარმოსთქვა წინააღმდეგ სამთა კავშირისა და ამტკიცებდა, რომ გერმანია აღმოსავლეთში თავის საქმებს აწყობს რუსეთისა და ავსტრიის საზარალოდო. სამთა კავშირი სასარგებლოა მხოლოდ გერმანიისთვის, რადგან ხელს უწყობს მსოფლიო პოლიტიკაში თვალსაჩინო ადგილი დაიჭიროს. კავშირი რომ მოისპოს, გერმანია მარტოდ-მარტო დარჩება ევროპაში. ავსტრიას არავითარი სარგებლობა არ ეძლევა სამთა კავშირის არსებობით და ეს კავშირია შემაფერხებელი რუსეთ-ავსტრიის გავლენისა ბალკანეთის კუნძულზე. უკანასკნელს ოცის წლის განმავლობაში გერმანიამ ფეხი მოიმაგრა ოსმალეთში, მისი ჯარი თითქმის დაიმორჩილა, რკინის გზები დაისაკუთრა. თანდათან გერმანია ეკონომიურად იპყრობს ოსმალეთს; და ეს ხომ უპირველესად ავსტრიისათვის არის საზარალო.

# წერილი

## რედაქციის მიმართ

ვინახავი ამ ჟამად ერთ ძველ მოკითხვის წერილის პირს, და შემდგომ-კი გამოვუგზავნი ხოლმე ძველ საქმის ქაღალდების პირებს, რომელიც არა ერთი და ორი შენახულა ჩემს ოჯახში. ვგონებ, ჩვენის ისტორიისს მკვლევართ გამოადგეთ მასალად; ამას გარდა ადვილად შესაძლებელია, ჩემს მაგალითს სხვებმა ბევრმა მიჰბაძონ და თავიანთ პატარა რკინა — გადაკრულ ყუთებიდან ძვირფასის ისტორიის წიგნებს თავი ამოაყოფინონ და გამოამზეონ, რომლებსაც აგრე თვალის ბაიასავით უფთხილდებიან და საიდუმლოდ დაუცავთ; ამას ნამდვილის მიგახსენებთ. მე თითონ მინახველი ვარ ბევრგან, რომ მაიხვია ვისთვისმე, მაჩვენეთ თქვენი წიგნები მეთქი, თუ ჩემი თხოვნა შეუწყნარებიათ, დრო აღარ მოუციათ წამეკითხნა სრულად, და ისევ მალე ჩაუკეტნიათ ყუთში.

მე არა მსურს, ეს ჩემის ოჯახის ძველი

---

სთვლიდა სახალხო მომღერლად „პატრიოტად“, შემკრებლად რუსულ სახალხო ქმნილებისა და სხვ.

ათასნაირი საყვედური ისმოდა საზოგადოებაში სლავიანსკის მიმართ მის მოღვაწეობის დროს. მაგალითად ბრალს სდებდნენ, თავის არტისტიულ მოღვაწეობის განმავლობაში ერთსა და იმავე ძველს სიმღერებს ამბობსო. მაგრამ განა ღირს ლაპარაკი იმ გულუბრიყვოებზე, რომელთაც ჰგონიათ სიმღერები „უნდა იზრდებოდნენ, როგორც სოკო“, მაშინ როდესაც ის ას წლობით, საუკუნოებით უნდა შეიქმნას?! აქვე უნდა ავღნიშნოთ ის საყვედურები, რომელიც გაისმოდა სლავ-ანსკისა და ამ სტრიქონების დამწერისადმი იმის შესახებ, ვითომ სახალხო სიმღერა მის გარდმოცემაში გალამაზებული, გაკოხტავებულიაო.

ცხადია, რომ ამნაირ შეხედულობის დროს ივიწყებენ ერთს, რომ სლავიანსკი მე და მრავალი სხვაც არის მარტო მომღერალი-კი არა, არამედ მომღერალი-მხატვარი; ჩვენ ჩვენის სიმღერით ვხატავთ ქართველ ხალხის სულს და ხასიათს, მის ცხოვრების სხვა-და-სხვა სათვეხურებზე. ჩვენ ვამბობთ არა იმ სიმღერას, რომელიც ხალხისგან გავიგონეთ, არამედ გადმოგვაქვს და ვხატავთ თვით ბედ-იღბალს და ყოფა-ცხოვრებას ჩვენის ხალხისას იმდენად, რამდენადაც ეს არის გამოხატული ხალხის სიმღერებში.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ყველა სახალხო ნაწარმოებნი წარმოადგენს დაუსაბამო ვარიანტს მოტივსა და ტექსტშიაც, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ხალხისგან რამდენჯერმე გამეორებულს ერთსა და იმავე სიმღერებში არის შესამჩნევი ცვლილება.

სახალხო მუსიკის აღმსრულებელი ყოველთვის არის მონაწილე სახალხო ქმნილებისა და მთელი კითხვა იმაშია, შემსრულებელი იცავს ნაწარმოების სულს და გადმოგვცემს ხალხის ხასიათს, რომელიც გამოხატულია სიმღერაში თუ არა. რასაკვირველია გლეხები ისე არ იმღერებენ, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, როგორც მღერის ჩვენი გაწვრთნილი ხორო.

მაგრამ ეს ამტკიცებს იმ უბრალო რამეს, რომ ავტორი თავის საკუთარ ნაწარმოებს ნაკლების გრძნობით გადმოგვცემს, ვიდრე გარეშე ხორო. მე მინდა სიმღერის გადმოცემის დროს ვიყო არა მარტო ტეხნიკოსად, არამედ პოეტადაც. სიმღერის დროს მე ვცდილობ არა მარტო იმას, რომ სიმღერას ყური დაუგდონ, არამედ იმასაც, რომ მსმენელსაც აღეძრას ის გრძნობანი, რომელიც სიმღერაშია გამოხატული. სახალხო სიმღერათა გამმარტებელს გადაჰყავხართ იმ სამეფოში, რომელიც ამ სიმღერით შეამკო მისმა შემქნელმა და გაერთიანებს მასთან. ის სულიერად გაკავშირებთ იმ ხალხთან, რომელსაც ეკუთვნი, აღვიძებს შენში ქართულს სულს და ამაღლებს შენს გულში დაფარულს გრძნობათ. ამ სახალხო სიმღერის მოსმენის დროს მცხოვრები ფშავეთისა და ხევსურეთისა, თუ მცხოვრებნი სვანეთის დაბურულ ტყეთა იცნობენ ერთმანეთს, და ძმა ძმას სალამს მისცემს. ამბობენ, როდესაც სლავიანსკი სიმღერის ამა თუ იმ ვარიანტს ამბობდა, მელოდიებს სცვლიდაო. ამასვე იმეორებენ ქართულის ხოროს შესახებ. ამის გამო სამწუხაროდ, უნდა გავაცხადო, რომ ასეთი შეხედულობა ცარიელი ცილისწამება და საქმის გაუგებრობაა და სხვა არაფერი. რაც შეეხება საკითხს სახალხო სიმღერის ჰარმონიულად დამუშავებისას, ამის შესახებ უნდა ვთქვა, რომ სახალხო სიმღერა დაუსაბამოა. ნამდვილი ხალხური სიმღერა წმინდაა, ვით ცის ფრინველი და მუსიკალური ხელოვნება ჯერ იმდენად უძლურია, რომ ვერ გადმოგვცემს მას მთელის თავისი მუსიკალურის სიმშვენიერითა და ძლიერებითა. მის დიდის აზრის გაგება შეუძლიან მხოლოდ გრძნობით უხვად დაჯილდოვებულს და შეუმწიკვლელ მუსიკალურ გემოვნების პატრონს. დიახ, დიდი შრომა და წვალება დასჭირდება, ვინც განიზრახავს ამ გზაზე გავლას, მაგრამ მას თუ ღრმად სწამს სახალხო სიმღერათა დიდი იდეა და არაფერს დაბრკოლებას არ შეუშინდება, საქმეს სასახელოდ დააგვირგვინებს. ჩვენს სახალხო სიმღერას ახლა უფრო მეტი გაფრთხილება უნდა, ვიდრე სხვა დროს როდისმე. მშობლიური სიმღერა მოსალოდნელ განსაცდელისგან, რომელიც უფსკრულისკენ მიაქანებს, უნდა გაანთავისუფლოთ და მას, დავიწყებულს ყველასაგან, კვლავ დავუბრუნოთ სიცოცხლე. მეცადინეობა არის საჭირო, რომ სიმღერა ძლიერად და ამაყად გაისმას მთელს მსოფლიოში—კიდით-კიდემდე, რომ მან გამოიჩინოს თავისი სიდიადე და დაუსაბამო დიდ-ბუნებნობა და შემდეგ გახდეს სიამაყედ და დიდებად ჩვენის სამშობლოისა. ამისათვის საჭიროა, თვითოეულს ქალაქში შესდგეს მუსიკის მოყვარული გუნდი, ან საზოგადოება მუსიკის მოყვარულთა. ამ საზოგადოებამ თავისის მოღვაწეობით უწინარეს ყოვლისა უნდა შთაუნერგოს ხალხს ის აზრი, რომ საჭიროა მზრუნველობა სახალხო სიმღერის დაცვის შესახებ. ამ საზოგადოებათ, რამდენადაც ძალა შესწევთ, სწორედ და შეუბღალავად უნდა შეაჩვიონ ხალხი სიმღერის შესრულებას. წინადვე დიდის დარწმუნებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მაშინ ყველა ჩვენგანი დააფასებს უძვირფასეს თვისებათ სახალხო სიმღერისას, ხალხის გული უფრო ფართოდ გადიხსნება სახალხო მელოდიათა შესათვისებლად და ყველა თავის ჰკუით და არსებით მ სდამი თაყვანის ცემას და სამსახურს დაიწყებს. ასეთი საერთო, ხელ-შეწყობითი მუშაობა შემდეგში იმ ნაყოფს გამოიღებს, რომ ჩვენ შეგვეძლება ამ სიმღერით წავიდეთ ჩვენს ღვიძლ ძმებთან და სიმღერის გავლენით ძმური სალამი განვამტკიცოთ ერთმანეთ შორის. ამ სიმღერით გულს გაუხსნით ჩვენს მრავალ-ტანჯულს ხალხს, ჩავუნერგავთ კეთილს იმედებს და ბევრს მ ვარდნილს კუნჭულებში გავაღვიძებთ გრძნობას ნათესაობისას.

ბუნებითამაყი და ძლიერი ადამიანი არც ერთსდარგის წინ საკაცობრიო კულტურისა არ იხრის თავს ისე, როგორც ბუნებრივ, გამახნევებელ სახალხო სიმღერის წინაშე, რომელიც არის მქადაგებელი ხალხთა შორის მშვიდობიანობისა და სიყვარულისა და რომელიც ბუდობს ყოველ კაცის არსებაში. საუცხოვო მაგალითს ამისას წარმოადგენს სლავიანსკის კონცერტები. მუსიკალური გერმანია, განათლებული საფრანგეთი, კლასიკური იტალია, თავისუფალი ამერიკა და, ბოლოს, აფრიკა ერთნაირად სტკბებოდნენ რუსულ მელოდიების მოსმენით და გაკვირვებაში იყვნენ მის დაუშრეტელ სიმდიდრის გამო: „მოისმინეთ საკვირველი ხმანი, ამოიღეთ იმედი და სიმამაცე იმ წმიდათა-წმიდიდგან, რომელიც თქვენ წინ სლავიანსკიმ გადახსნაო“ იძახდა აღტაცებით დიდებული კარის კაცი, ბერლინის მუსიკალური კრიტიკოსი ფლორიან გაიერი. სიყვარული მშობლიურ სიმღერისა და ხელოვნებისადმი, ვინც უნდა გააღვიძოს იგი, არ ჩაჰქრება ქართულ საზოგადოებაში, რომელიც, მრწამს, ჩქარა მოეწყობა და ღონისძიებას იხმარს სამშობლო სიმღერის ფეხ-მოსაკიდებლად და ასამაღლებლად. ჩვენის საზოგადოების მზრუნველობა უნდა გამოიხატოს აწ დაარსებულ ფილარმონიულ საზოგადოების დახმარებაში, რომელსაც აზრადა აქვს სახალხო სიმღერათა შეკრება და მუდმივ ქართულ ხოროს შედგენა. მართალია, ჩვენი საზოგადოება შეუდგა სახალხო სიმღერათა შეკრებას, მაგრამ დრო არის ვიფიქროთ ისეთის საზოგადოებისა ან სკოლის დაარსებაზედ, რომელიც დაიწყებს თეორიულად შესწავლას მელოდიებისას და სახალხო სიმღერათა ჰარმონიის ორიგინალობისას. დიდებული აზრია — დაარსება სახორო საზოგადოებისა, სადაც შეეძლებათ სოფლის მასწავლებლებს საერო და სასულიერო სიმღერათა შესწავლა, რომ პედაგოგიურ შრომასთან ერთად იზრუნონ სახალხო სიმღერათა დაცვისათვის მაგრამ, საუბედუროდ, ამ შემთხვევაში კერძო პირთა მეცადინეობა საკმარისი არ არის. საჭიროა, ყველამ შეიგნოს მნიშვნელობა მისი და თანაგრძნობა ხალხისა. ვიმეორებ, კერძო კაცთა მეცადინეობით ქართულ სახალხო სიმღერას ვერ მივანიჭებთ მოქალაქობრივ უფლებას: ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს უფლება მომავალშიც შევანარჩუნოთ, რომ ამ პატარა ბავშვებისაგან — ქართულ სიმღერისაგან—შემუშავდეს მომავალ[illegible] ამოუკიდებელი და მკვიდრ[illegible]იკა.

[illegible] დაწესებულება ქართველთა [illegible] მნიშვნელოვანს ნაყოფს გამო[illegible] [illegible]არმონიულ საზოგადოების ხორო უნდა იყოს საუკეთესოდ მომზადებული და მისი კარი ღია ყველა ქართველთათვის, რომ თვითოეულს შეეძლოს იქ მომზადება, რომ შემდეგ წავიდეს ხალხში სიცოცხლისა და გამარჯვების საქადაგებლად. სამაგალითო ხორომ თავის არხივიდან ყველა მსურველს უნდა მისცეს მომზადებული, შემუშავებული მასალა, რომელიც მდიდარს წყაროს უნდა წარმოადგენდეს, რათა ყველას შეეძლოს მიიღოს ცოდნა და ყველა

წიგნები დაიკარგოს, ე. ი. ჩემ სახლს გარეშე იყოს. ამის გამო ნამდვილს არ გამოგიგზავნით და თუ აუცილებელი საჭიროება იქნება, მაშინ-კი შეიძლება, თუ უკან დამიბრუნდება. ჩემს სათავად-აზნაურო სკოლაში ყოფნის დროს ნიკოლოზ მთვარელიშვილს ბევრი წიგნები მივეცი და რა დაემართა იმ წიგნებს, არ ვიცი.

აი ძველის მოკითხვის წიგნი:

ადრესი: ქ. დოით მდივნიანთ სახლში მდივნის ქალს ბარბარეს მიერთვას.

ბარბარე.

ქ. სულით მჴედრობათა შინა სეალტრივობით საგონო და ჴორციელთა ნუგეშინის ცემით ცხოვრებაო ჩემო გონებისა ნისლთა აღმაარცველო, ნათელო თვალთა ჩემთაო და ბატონო მდივნის ასულო (!)

შენი ძმა იოანე შენის სიყვარულისა მორეგვა შაგან შემომწყედეული თვალ-ვამიანი და გულ წამიანი შენსა ლამაზსა თვალსა და ტუჩსა გაამბორებს და შენსა მშვიდობით შეურასა ღმერთსა სთხოვს. მერმე ეს ამდენი ხანი არის შენი მშვიდობის ამბავი ვერა გავიგე-რა, კარგი არის, მემართლები. პირობის გამსრულებელი ბძანებულხარ (.) არა, შენგან ეს როგორ მომაგონდებოდა ჩემთან ამთენ ხანს უზრახველობა, მაგრამ შენ აღარ დაგავიწყდები, ალბათ მოუგონრობა და დავიწყება სიმორესა სცოდნია. შენ ნუ მომიკვდები, დიდათ გემდური და გულს მაკლია შენგან ასე დავიწყება, მარამ ვგონებ ისევ ბარბარე აღარ იყო, თორემ ამთენს ხანს ჩემთან წიგნის მოუწერლობას შენი გული როგორ მოითმენდა. მარამ ჰგავს რომ გაამაარტავებულხარ, რომ შენი საკუთარი ძმა აგრე მალე გარდამაგდევი და დამივიწყე. ეგ ჩემი ბატონი ნათესავი როგორ აღარ გიბძანებს ხოლმე ჩემს მოგონებასა. კარგია, ღმერთმან გიშველოსთ!

ქ. სარდალი თუ მანდ ბძანდებოდეს, სიყვარულით სამსახურის სურვილს გაუბედავთ. ვგონია ხომ მანდ არ იქნება. ჩემს მოწყალეს ბატონს ჩემს ნათესავს მაიას მდაბლათ თავს დავუკრავ.

ქ. ჩვენს სიძეს ითსებს სამსახური ეწინარის, თუ მანდ ბძანდებოდეს.

ერთხელაც იქნება თქვენთან ხლება მეღირსოს. თავად გგონებ ამ ერთს კვირეში ლეკან ბატონიშვილი ქალაქს წამობძანდეს და შეც თან ვეახლები; ჩვენი ამბავი მოიხსენო აქ დუშეთს, გახლავართ მშვიდობით, თქვენის ნახვისა და ამბის მეტი არა გვეჭირება. ჩვენების ამბავს მოისსენებ, ყველანი უვნებლათ გახლავან. ღვთით მე მანდ გიახლები და წვრილს ამბავს მე მოგახსენებთ. დიდ ბნელაში დავწერე, შენმა გაზდამ, არ მინდოდა მომეწერა, მაგრამ კიდევ შენმა სიყვარულმან შემაპყრა. ნება გაქვს თუ წიგნს არ მომწერამ. თიბათვის (იდ) (14) ქჳს უდგ. (1777 წ).

ჩვის ბნელაში დავწერეთ, მაგრამ ასე ლამაზი წიგწიკა ხელით ნეტა მე სინათლეზე დავწერო!.

თ, ალექსანდრე დავითის ძე მაჩაბელი,

## „ივერიის“ ფოსტა

მ—ლ. ე. მ—ლ ს. გაზეთი გამოგეგზავნებათ. გამოქობაგება ჩვენის მხრივ მოუხერხებელია. სანთელ-საკმელი გზას არ დაჰკარგავს და არა არის რა დაფარულ, რაიცა არა გამოცხადდეს. ნუ მიაქცევთ ყურადღებას და გულ-დამშვიდებით განაგრძეთ თქვენი მოღვაწეობა.

ფ. ა ნ თ ა ძ ე ს. თქვენს თხოვნას შევასრულებთ.

ვ ლ. ე—ლ ს. ნახევარ ფასად გამოგეგზავნებათ. ნუ დაგვივიწყებთ.

ძ—ს ს. შ—ე ლ ს. მივიღეთ თქვენი წერილი და სიამოვნებით გადავავლეთ თვალი. მალე დავბეჭდავთ.

მ ო ს კ ო ვ ი. ა. კვ—ლ ს. სიაში არსად გვიწერიხართ. გარკვევით მოგვწერეთ, რაც გნებავთ.

ნ. ჯ ი ხ ა ი შ ე ლ ს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 იანვარი

**ხარკოვი.** მთამადნის მრეწველთა კრების საბჭომ გადასწყვიტა მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს, რომ მაისში საგანგებო კრება მოახდინონ, რათა კარგად მოაწესრიგონ იმ თანხის ხარჯვა, რომელიც უბედურ შემთხვევის დროს დაზარალებულთ ეძლევა და შეიმუშაონ იმის პროექტი, რომ უეჭველად საურთიერთოდ უბედურ შემთხვევისაგან დაზღვეულ იქმნენ სამხრეთ-რუსეთის ყველა სამთა-მადნო დაწესებულების მუშები და მსახურნი.

**ტამბოვი.** საგუბერნიო საერობო კრებამ გამგეობას კრედიტი 200,000 მანეთამდე მოუმატა დასაზღვევ თანხიდან, რათა გამგეობამ მცხოვრებთ შენობათა დასახური რკინა მიაწოდოს და იმისი ფასი ნაწილ-ნაწილად გადაახდევინოს.

**სალონიკი.** რუსეთისა და და ავსტრიის აგენტების მოთხოვნით, ადგილობრივ საპყრობილედგან ზოგი დაპატიმრებული გამოუშვეს. აგენტებს ხილმი-ფაშასთან ყოველ დღე ხანგრძლივი თათბირი აქვთ. რადგან საპყრობილეში 1,500 კაცამდე იყო, ამიტომ სატუსაღო ანტი-სანიტარულ მდგომარეობაში იყო. ეხლა საავადმყოფოს აშენებენ და პატიმართა ნახევარს იქ გადიყვანენ.

**რომი.** რადგან «დეილი ტელეგრაფი»-ი იუწყებოდა, ვითომ იტალია კორეისაგან დაპეჯითებით ოქროს მადნების კონცესიას თხოულობდა, გაზეთი «ტრიბუნა» აცხადებს, იტალია ამ კონცესიას 1903 წ, აპრილში თხოულობდაო, მაგრამ როცა კორეამ უპასუხა, საქმეების ეხლანდელ მდგომარეობის გამო ვერავითარ კონცესიებს ვერ მოგცემთ, იტალიას თავისი თხოვნა აღარ განუმეორებიაო.

18 იანვარი

**სან-ფრანცისკო.** იაპონიამ და რუსეთმა ცინცინატში, ჩიკაგოში, ომახში და კანზას-სიტში დიდძალი ხორცი შეუკვეთეს. იაპონიის მთავრობამ „ნიპონ-იუსენ-კაიშა“-ს საზოგადოებისაგან ოთხი სწრაფმავალი გემი იყიდა. ამ გემებს მაშველ კრეისერებად გადააკეთებენ.

**ჰამბურგი.** გემი „ადოლფ-ვერმან“-ი სამხედრო მასალით და სურსათით დატვირთული, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში წავიდა.

**კოპენჰაგენი.** საფრანგეთის პალატის დეპუტატთა ერთმა ნაწილმა, რომელიც სამედიატორო სასამართლოს იდეას ავრცელებს, გადასწყვიტა, ამ იდეის მომხრენი—დანიისა, შვეციისა და ნორვეგიის პალატების წევრნი მოიწვიოს პარიზში კონგრესზე, რომლის აზრი სამედიატორო სასამართლოს საკითხის გადაწყვეტა იქმნება.

**ვიქტორია.** დაკარგული გემი „სელტონ“-ი არ ჩაუძირავს. იგი აქ მოვიდა.

**ლონდონი.** ცზამბოდან ცნობა მოვიდა, რომ თიბეთელთა ჯარი ახლად მოსულ მაშველ ჯართან ერთად 4,000 კაცამდე ადის. ზოგიერთნი თოფებით არიან შეიარაღებულნი.

**პორტ-არტური.** რადგან დეპეშით ცნობა მოვიდა, ტოკიოში მყოფი რუსეთის სამხედრო აგენტი იუწყება, რომ იაპონიის ჯარის მობილიზაციისთვის ხელმეორედ დაიწყეს მოსამზადებელ ღონისძიებათა, მიღება, რათა ჯარი ჩრდილოეთს გაჰგზავნონ.

19 იანვარი.

**ლონდონი.** ფირმებს ვიკერს მაქსიმს ბარროუში და ამსტრონგს ნიუკასტლში შეკვეთილი აქვთ გააკეთონ, რაც შეიძლება მალე, ორი მთლად იარაღით მოწყობილი სამხედრო გემი; ეს გემები ინგლისის სამხედრო ყველა პირველ ხარისხოვან ფლოტზე უმჯობესად იქნება მოწყობილი და შეიარაღებული.

**ხარბინი.** ჩვენში მშვიდობიანობაა. აკურთხეს სკოლა თავ-შესაფარი, აგებული აფიცერთა შვილებისათვის.—მხდალნი იაპონელთაგანნი სტოვებენ ჩინეთის რკინის გზის ტერიტორიას და მიდიან.

**ტიანძინი.** („რეიტ. სააგენტო“). 17 იანვარს რუსეთმა 20 ათასი ტონნი კაიპინის ქვა-ნახშირი იყიდა. იუნშიკაიმ პეჩილიის პროვინციისა და მანჯურიის შუა საზღვარზე დასაცველად 40 ათასამდე აიყვანა ჯართა რიცხვი, რადგანაც შესაძლებელია იაპონიასა და რუსეთ შორის ომი ატყდესო. პროვინციებში აბან-სიში და შანდუნში აგრეთვე უმატებენ ჯარებსა.

**ლონდონი.** რადგანაც, რამდენადაც აქ იციან, ჯერ ტოკიოში არავითარიმე პასუხი არ მისულიათ რუსეთიდან, ამიტომ იმის შინაარსის გამო ყოველ გავრცელებულს ხმებს სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ. რაც შეეხება იმ შთაბეჭდილებსა, რაც რუსეთის ნოტამ იაპონიაზე უნდა მოახდინოს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ გარდაწყვეტილებაზე ექნება გავლენა არა მხოლოდ პასუხის კილოს, არამედ შინაარსსაც.

**პორტ-არტური.** კორეელი თანამშრომელი „ნოვი კრაისა“ იუწყება, იაპონელნი სხვა-და-სხვანაირ ხრიკებს ხმარობენ, რომ კორეაში უწესოება გამოიწვიონ და შემთხვევა მიეცეთ საქმეში ჩაერიონ. მაგრამ ჯერ ყველა ნაცადმა ხრიკებმა ფუჭად ჩაიარა, ვერც მოკპოში მოახდინეს უწესოება. გაავრცელეს ხმა, სეულის მეცხოვნეთ ამბოხება უნდა მოახდინონ, რომ იმპერატორი აიძულონ რუსეთის მისიას შეაფაროს თავი და ამ ამბავმა გააბედვინა მას, გაქირვების დროს თავი შეაფაროს ამერიკელებს. ამის გამო ამერიკამ, ვითომ მისიის დასაცველად, ერთი როტა ჯარის კაცი შეიყვანა.—იაპონელებმა ტონგაკებს მიმართეს, რომ იპოვონ მიზეზი საქმეში ჩასარევად.—მცირე უქეიფობის შემდეგ ადმირალმა ალექსეევმა კვლავ განაახლა ჩვეულებრივი მიღება.

**ტიანძინი.** („რეიტ. სააგენტო“). რუსეთი ცდილობს 30 ათასი ტონნი კაიპონის ნახშირი იყიდოს და რამდენისამე დღის შემდეგ პორტ-არტურში უნდა მიიტანოს.

**სოფია.** (ოპოზიციის ცნობებით). მთავრობამ წინადადება მისცა კრებას ლტოლვილთათვის შესაწევნელად გადასდოს 700 ათასი ფრანკი.

**ვლადივოსტოკი.** ხმებია, ელიან ამ დღეებში განკარგულებას შორეულ აღმოსავლეთში ყველა ოლქებიდან გამოიწვიონ სათადარიგო ჯარის კაცნი, მზადება ცხენების გამოსაწვევად უკვე დაიწყეს. თებერვალში ელიან ვლადივოსტოკში მეცხოვნეთა გაძლიერებას 50 ათასი კაცის მომატებითა.

### პეტერბურგის ბირჟა

16 იანვარი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 94, |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,95 |
| ბერლინში „ . . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში „ . . . . . . . . | 37,72 1/2 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 5—6 1/2 % |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 98 გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . . | 95 1/8 გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მოგ. ბილ. 1864 წ. | 405 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 322 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 271 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . . . | — |
| 4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4 1/2% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . | 192 1/4 |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა . | 91 გაყ. |

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამ-ჯაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) ღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 58 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ3

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2 ღამის 10 ს. 8 წ.

---

ქართველს განუვითარდეს სიყვარული სახალხო სიმღერისადმი. ასეთი შეგნებული შრომა და მოღვაწეობა ქართულს მუსიკას შემდეგ მისცემს დამოუკიდებელს მნიშვნელობას და მით გახდის მსოფლიო ხელოვნების ერთს საუკეთესო შტოდ. როგორც იტალიამ და გერმანიამ შეიმუშავეს საკუთარი სკოლები, რომელთაც მშობლიური თავისებურობის ბეჭედი აზავთ, აგრეთვე ფილარმონიულმა საზოგადოებამ და ქართულ მუსიკის მოყვარულთ უნდა იზრუნონ, მისცენ ქვეყანას ცალკე, ორიგინალური მუსიკა საკუთარ ხელოვნებისა, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს მშობლიურ ნიადაგსა და მელოდიებზედ. თუ აქამდე ამნაირ დაწესებულების მნიშვნელობა ყველას შეგნებული არა აქვს, ამის გამო მწუხარება უნდა გამოვაცხადოთ, მაგრამ იმედი-კი არ დავკარგოთ. ცხადად დასაჯერებელია, რომ ამ აზრს—დაარსებას ფილარმონიულ საზოგადოებისას, თვითეულმა ქართველმა მხარი არ მისცეს. მე მჯერა, მოვა დრო, როდესაც ყველა შეიგნებს ფილარმონიულ საზოგადოების მნიშვნელობას, ამ ღირსეულ ძეგლისას სახალხო სიმღერისა, რომელიც მუდამ თავის საკვირველ ხმებით ნერგავდა მშვიდობიანობას და აღვიძებდა სიყვარულს ყოველ ქართველის გულში, აღვიძებდა იდეას ძმობისა, ერთობისას და ნაციონალურ თვით-შეგნებისას. სახალხო სიმღერა ჩვენი დიდება და სიამაყეა და ვიდრე მისის საკვირველ და მომხიბვლელ ხმათა ყლერა სამუდამოდ არ შესწყდება, მანამდე საქართველოც არ იქმნება დავიწყებული. ჩვენი ცხოვრების ბურჯი, გლეხკაცის უბეში გამთბარი სახალხო სიმღერა — მფარველი ანგელოზია, მოსი ვარუე და დამცველი ჩვენი ხალხოსნობისა! დავუბრუნოთ მას ღირსეული პატივი და ვამცნოთ მთელს ქვეყანას მისი უძლეველი სიმართლე, მისი დაუკნობელი სიმშვენიერე და დიდებულობა—აი ღირსეული დაცვა ღირსეულის საგნისა, რომლისაკენაც უნდა მიისწრაფოდეს ყველა ის, ვისაც ძვირად უღირს ჩვენი ხალხის განათლება და წინ-მსვლელობა!

საყურადღებოა, მგონი, ვიცოდეთ, ვინ შეთხზა სახალხო სიმღერა. ამაო ცდა იქმნება ავტორების ვინაობისა და სახელების ძებნას რომ გამოვუდგეთ, ისინი არ ყოფილან. სიმღერა წმინდა ქმნილებაა ათას წლოვან, მრავალტანჯულის და ძლიერის ქართველის ხალხისა. ბევრი მწარე, მძიმე, დამაღონებელი დღეები განიცადა ჩვენმა ხალხმა, სიხარული მისთვის ძალიან იშვიათი იყო, მაგრამ მტკიცე, ღრმა რწმენით მან ერთნაირად მტკიცედ, გმირულად გადიტანა უბედურებაც და სიხარულიც, ღრმად ჩაინერგა და ჩაისახა ყველა ეს გულში და გამოხატა საკვირველ, მომჯადოვებელ და დაუვიწყარ სიმღერებში. ძალაუნებურად მაგონდება შესანიშნავი სიტყვები გოგოლისა, მიმართული რუსეთისადმი: „რისთვის გაისმის განუწყვეტლად ყურში დამაღონებელი, ზღვიდან-ზღვამდე მეტყველი შენი სიმღერა? რა არის ამ სიმღერაში ისეთი? რა გვეძახის, რა ჰგოდებს და ჩვენს გულის კარს ეხება? რა ხმებია, რომ მწუხარე ალერსით გვესიყვარულებიან, სულისკენ მიისწრაფვიან და გულს არ შორდებიან“?

დიაღ, ხალხურ სიმღერაში იხატება მწარე სევდა-ნაღველი, იქ სტირის დედა, ვითა მდინარე, მწარე ცრემლთ აფრქვევს, ვით ნაკადული და მასთანავე სიხარულს ჰფენს მთელს არე-მარეს—კლდესათუ ღრესა —ეს ნევდიანი სიმღერა...

ი. კარგარეთელი.

---


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურ ას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის წრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთ განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიურ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

# ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგვზავნეთ თქვენ

ადრესი: U. 111 an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.

(51—49)

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კითხვის საზოგადოების“ მოცემული საქართველოს

# კალენდარი

ვ. გუნიასი

რედაქცია ვ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარში მოთავსებულია სრულად ახლად შესწორებული შემდეგი განყოფილებანი:.. 1. საეკლესიო კალენდარი, 2. ცა და დედამიწა ასტრონომიულ-გეოლოგიური ცნობები. 3. სახელმწიფოთა მიმოხილვა, 4 კავკასია და საქართველო, 5. ფოსტა, (ტელეგრაფი, ტელეფონი, რკინის გზა, გემების მიმოსვლა, 6. იურიდიული ცნობები, 7. წონა, ზომა, საწყაო და სხ., 8. სათაური და ბეჭდვის ცნობები, 9. საღიტერატურო განყოფილება, 10. კრეული საადრესო კალენდარი.—კალენდარში დაბეჭდილია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: ა) სარწმუნოება საქართველოში, მ. ჯანაშვილისა, ბ) ცა და დედამიწა, X ისა, გ) სახელმწიფოთა მართვა-გამგეობის ფორმები, დ) საქართველოს მართვა-გამგეობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ე) ქართული მწერლობა, უმიკაშვილისა, ვ) ენა და ერი, ა. სურგულაძისა და სხვ.

კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათით. კალენდარი შეიცავს 800-მდე გვერდს. ფასი ერთი მანეთი.

მღვდელნი სიმონ და ავქსენტი სახოკიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 31 იანვარს ს. წავში (სოხუმის ოლქი) ღვთის მშობლის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი, პირველის რძლის და მეორის—ძვირფასის მეუღლის

ნინა მინა ღიავრენტის ასული სახოკიას

სულის მოსახსენებლად.

1—1

მიიღება ხელის-მოწერა 04 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

# „მწყემსი“-ზე

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე

XIX

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ 3 მ. | ორივე გამოცემა . 5 მ. |
| სამკურნალო ფურცლის | 6 თვით „მწყემსი“ . 2 მ. |
| დამატებით . . 4 მ. | რუსული . . 2 მ. |
| რუსული . . 3 მ. | ორივე გამოცემა . 3 მ. |

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არ. კალანდარაშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.


Дозволено цензурою, тифлисъ 19 января 1904 г. Типографія Е. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით რედაქტორი მრ. ყიფიანი, გამომცემელი ხარაჯიშვილი.